

**მეცხოველეობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები აჭარის რეგიონში**

**TENDENCIES AND PROSPECTS FOR CATTLE-BREEDING DEVELOPMENT IN ADJARA REGION**

**მირზა სუქნიშვილი,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

**MIRZA SUKNISHVILI,**

PhD Students of Batumi Shota Rustaveli State University, Economics and Business Faculty

**ანოტაცია**

სტატიაში დასაბუთებულია მეცხოველეობის დარგის განვითარების მნიშვნელობა აჭარის რეგიონისთვის, გაანალიზებულია დარგში მიმდინარე ტენდენციები და გამოვლენილია მისი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. დადგენილია, რომ მეცხოველეობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაში. სოფლად მცხოვრებთა ნახევარს საკუთრებაში ყავს თუნდაც თითო სული მსხვილფეხა პირუტყვი და აღინიშნება სულადობის ზრდის ტენდენცია.

აჭარის რეგიონისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ რეგიონში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობა ბევრად ჩამორჩება მათ ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, დაბალია ერთი მენველი ძროხიდან დღე-ღამური ჩამონაწველი და ახალშობილ მოზარდებში დღე-ღამური მატება ნორმატი. ნაშრომში თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია მეცხოველეობის დარგში დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევი მიზეზები: შორის განიხილება ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, ვეტერინარული მომსახურების დაბალი დონე, არარაციონალური კვება, ბაზრის საინფორმაციო მონაცემებსა და რესურსულ პოტენციალზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვ., მონაცემებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ პირუტყვის სადგომები უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება თანამედროვე სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. კვების რაციონი არასრულფასოვანია და იგი შედგენილია უმეტესწილად საკვები ელემენტების მიხედვით გაანგარიშების გარეშე. შედეგად დაბალია მიღებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მცირეა შემოსავლები. ჯოგის ჯიშობრივი

გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული სანაშენე საქმის სრულყოფა. ასევე, აუცილებელია კვებითი რაციონის კარატივის საჭირო რაოდენობის დაცვისათვის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლება მათში მრავალწლიანი პარკოსანი და თავთავიანი ბალახების შეთესვის გაზრდით. სტატიაში შემოთავაზებულია აჭარაში მეცხოველეობის დარგის განვითარების რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** აგროსასურსათო პროდუქტები, მეცხოველეობა, სასურსათო უსაფრთხოება, განვითარების ტენდენციები, პროდუქტიულობა.

**ABSTRACT**

The importance of cattle-breeding field in Adjara region is explained in the given work. The tendencies in the field are analyzed and the factors hindering the development are revealed. It is identified that cattle-breeding has got one of the significant places in providing the population with healthy food; the half of rural inhabitants have at least one cattle and the growing tendency in this aspect is noted in rural areas.

Based on analysis of data from Adjara A.R. and National Service of Statistics it is identified that productivity of cattle existing in the region is far behind their physiological abilities, the 24 hour product received from one cow is low and 24 hour increase in newborn adult cows is surplus weight. The reasons causing low productivity in cattle-breeding are revealed based on qualitative research including breed consistency of herd, low quality of vet services, irrational nutritious, poor accessibility to market data and resource potential, etc. according to the mentioned data it was identified that the cattle dwelling places are not in full compliance with the modern sanitation-hygienic standards. The food ration is not healthy and mostly it is made according to nutritious elements with-

*out considering calculation. Therefore the received products are low and their qualitative parameters are poor as well as incomes. For the purpose of breed, improvement of herd and increasing productivity it is necessary to improve breeding process. As well as it is necessary to increase productivity of natural grasslands for setting needed amount of food ration by the method of cultivating legumes and cereals. the given work offers recommendations for cattle-breeding field development in Adjara region.*

**Key Words:** *agricultural products, cattle-breeding, food safety, development tendencies, productivity.*

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო უსაფრთხოება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავარი საზრუნავია, რადგან აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების დონე ვერ უზრუნველყოფს მათზე მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემებით მსოფლიოში ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი სანახევროდაც ვერ იკვებება, 2-2,5 მილიონი შიმშილობს, ხოლო და წელიწადში 2 მილიონამდე ადამიანი შიმშილით იღუპება. აღნიშნულის გამო, გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა მიიღეს დეკლარაცია სასურსათო უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც ნებისმიერ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, გააჩნია ვალდებულება მსოფლიო სასურსათო ბაზის განმტკიცებაში. სამწუხაროდ, საქართველოში ეს საერთაშორისო ვალდებულება სათანადოდ ვერ სრულდება, კერძოდ ქვეყანა მონაწილეობს ვერ იღებს აგროსასურსათო პროდუქტების საერთაშორისო მარაგების შექმნაში, ასევე, საკმაოდ დაბალია ამ პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. შესაბამისად, საქართველო აგროსასურსათო პროდუქტების მომხმარებელ ქვეყანათა ჩამონათვალშია შეყვანილი.

ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციების მიხედვით საქართველოში ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტმა, გამონაკლისის გარდა (ღვინო, ღვინომასალები, მინერალური წყლები და სხვა), 80-85%-ს გადააჭარბა. როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე აჭარის რეგიონშიც, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების დონე არ შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია სოფლად დანაწევრებული მიწის ნაკვეთების არსებობა და საკუთრებითი ურთიერთობების მოუწეს-

რიგებლობა, პროდუქტიულობის დაბალი დონე, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ბუნდოვანი და გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა და სხვ. დღეს საქართველოში ფერმერულ მეურნეობები წერილმასშტაბურია [1], მათი უდიდესი ნაწილი ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ. სოფლად დაბალი მწარმოებლურობა უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლებზე და წლების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძობლად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების მაჩვენებლებს [2].

პრობლემების მოგვარების შემთხვევაში, საქართველოს, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც, თავისი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გამო შეუძლია აწარმოოს საჭირო რაოდენობისა და ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტები იმ მოცულობით, რომ გადამწყვიტოს ერთი მხრივ, თავისი მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების პრობლემა, მეორე მხრივ, შექმნას ნამეტი მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად [3]. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წარმოების განვითარების ტენდენციების შეფასება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ სასურსათო უსაფრთხოებაზე.

მეცხოველეობის დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

აჭარის რეგიონში ამ დარგში განვითარების მიღწეული დონე საკმარისი არ არის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გასაჭრელად, უფრო მეტიც განვითარების ტენდენცია გასული საუკუნის მაჩვენებელთან შედარებით კლებადია. თუ გასული საუკუნის ბოლოს აჭარის ყველა კატეგორიის მეურნეობებში აღრიცხული იყო 200 ათასი მსხვილფეხა პირუტყვი, დღეს ეს მაჩვენებელი 80 ათასიდან მენველი ძროხა 65-70 ათასი სულია. რეგიონში დაბალია წველადობა (არ აღემატება 8-10კგ-ს). მეცხოველეობის დარგი რეგიონისთვის ტრადიციულია, ასევე, ამ დარგის განვითარება აუცილებელია მზარდი ტურისტული სექტორის მომსახურებისა და ზოგადად მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობის დარგის აქტუალურ პრობლემებზე ცალკეული კვლევებია ჩატარებული, დარგის განვითარების ტენდენციები თან-

ამედროვე საბაზრო ტექნოლოგიების პირობებში კომპლექსურად არ არის შესწავლილი და შესაბამისად, არც დარგის სამომავლო სტრატეგიებზეა შემუშავებული რეკომენდაციები.

კვლევის მიზანია აჭარაში მეცხოველეობის დარგის განვითარების ტენდენციების შეფასების საფუძველზე დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა და მისი განვითარების პექსპექტივების დადგენა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, შედარებისა და სხვა მეთოდები, ასევე, დარგის ფერმერთან და ექსპერტებთან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები, რითაც გამოვლინდა მეცხოველეობაში დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. ამასთან, ლოგიკური დასკვნების

მისაღებად გაანალიზდა რეგიონში ბოლო წლებში განხორციელებული ერთი მიზნობრივი პროგრამის შედეგები. ამ მიზნით შეირჩა 2017 წელს განხორციელებული საერთაშორისო პროგრამა „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში ფაზა-2.“ დაკვირვება წარმოებდა რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

საქართველოში მეცხოველეობა ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. 2017 წლის მონაცემებით ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ღირებულებამ 3,9 მლრდ ლარი შეადგინა. მეცხოველეობის წილად მოდის 49.5% (1 942.0 მლნ ლარი), ხოლო მემცენარეობაზე 44.8% (1755.1 მლნ ლარი), სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაზე 5.71% (224.8 მლნ ლარი).

**ცხრილი 1.**

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი გამოშვების დინამიკა საქართველოში 2010-2017 წლებში [4] (მლნ ლარი)**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მემცენარეობა	933	1238	1087	1405	1613	1622	1656.7	1755.1
მეცხოველეობა	1240	1337	1610	1666	1613	1837	1983.9	1942.0
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	69	99	110	139	161	194	213.5	224.8
სულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	2242	2674	2807	3210	3387	3653	3854	3921.8


ზემოთ მოტანილი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღირებულებით გამოსახულებაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ზრდით, კერძოდ აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 10.1%-ით, ხოლო 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 5.3%-ით არის გაზრდილი. მეცხოველეობის წილი ამავე პერიოდში საშუალოდ 2,1 %-ით არის შემცირებული, თუმცა მემცენარეობის დარგი ზრდადი ტენდენციით გამოირჩევა (იხ. დიაგრამა 1)

მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი გამოშვება 2017 წელს წინა წელთან შედარებით მხოლოდ 1.8%-ით არის გაზრდილი, მათ შორის არასაკმარისია მეცხოველეობის დარგის ზრდის ტენდენცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში მაღალია ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილები. 2014 წელს ოჯახური მეურნეობების წილად მოდიოდა ხორცის წარმოების 62.6%, ხოლო 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 42.5% შეადგინა; მათგან განსაკუთრებით მაღალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წილი - შესაბამისად 95.8% და 95.5%. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილად მოდიოდა 2014 წელს 37.4%, ხოლო 2017 წელს 57.5% [6].

აჭარის რეგიონის აგროსასურსათო სექტორის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მერძეული მეცხოველეობა. უფრო მეტიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ამ დარგს კვლავაც საარსებო მნიშვნელობა აქვს. რეგიონში ხორცის წარმოების

მაჩვენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში 2010-2017 წლებში [5]  
(მლნ ლარი)



მაჩვენებლები კლებადი ტენდენციისაა, კერძოდ 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 1.9 ათასი ტონა შეადგინა, 2016 წელს კი 2.3 ათასი ტონა იყო. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებას, ეს მაჩვენებლებიც კლებადია. თუ 2016 წელს რეგიონში იწარმოებოდა 2.0 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, 2017 წელს მან მხოლოდ 1.6 ათასი ტონა შეადგინა [7]. იგივე ტენდენციაა რძის წარმოების თვალსაზრისით. თუ 2014 წელს აჭარაში იწარმოებოდა 44.3 მლნ ლიტრი რძე, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 11.9 ათასი ლიტრით შემცირდა და 32.4 მლნ ლიტრი შეადგინა [8].

აჭარის რეგიონში მეცხოველეობის დარგის განვითარების ტენდენციების შესაფასებლად და დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოსავლენად, ჩატარდა ამ დარგის ერთ-ერთი პროექტის მონიტორინგი, ძირითადად საკვები რაციონის სრულყოფისა და მწარმოებლურობის ზრდისთვის. ექსპერტული შეფასება მიმდინარეობდა იმ ფერმერთა მიმართ, რომელთაც 16 სული მენველი ფურისათვის გადაეცათ ხარისხიანი ქართული წარმოების საკვები და ვიტამინიზირებული ლოკი-ბლოკი, ასევე, ხბოების ცივი მეთოდით გამოზრდისათვის 6 ცალი გალია, სათიბ-საძოვრების ბალახნარეგების გაუმჯობესებისათვის 50 კგ სამყურას სათესლე მასალა.

პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში პერიოდულად ჩატარდა მონიტორინგი, ფურების


საკონტროლო წველასა და ხბოების წონა-მატზე, ასევე საკვების როლსა და მნიშვნელობაზე მეცხოველეობის დარგში.

მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ცალკეულ შემთხვევაში დღე-ღამურმა ჩამონაწველმა 14-16 კგ-საც მიაღწია, ნაცვლად 8-10 კგ-სა საკონტროლო ჯგუფებში, გაიზარდა ხბოების წონამატიც.

კვლევის მიზნებისთვის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შესახებ ყველაზე დაზუსტებულ და სანდო ინფორმაციად მიჩნეული იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის რეესტრის შესაბამისად დამუშავებული მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შესახებ. თუმცა, ზოგადი ტენდენციების გასაანალიზებლად, კვლევაში, ასევე, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად სულ საქართველოში აღწერილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაახლოებით 7%-ია აჭარაში, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დარგში წამყვანი რეგიონების (სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის) შესაბამის მაჩვენებლებს (იხ. დიაგრამა 2).

**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა კამეჩის ჩათვლით) საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2016 წელი [9]**




მეცხოველეობის დარგის განვითარების ტენდენციის შეფასებამ გვიჩვენა, რომ აჭარის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, მათ შორის ფურისა და ფურკამეჩის რაოდენობა, 2013 წლის შემდეგ კლებით ხასიათდება. 2016 წელს წინა წელთან შედარებით რეგიონში 11%-ით ნაკლები პირუტყვია.

თვისებრივი კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ აღნიშნული ტენდენცია გამოწვეულია პირუტყვის მოვლასა და შენახვაზე განეული დახარჯების ზრდით. ასევე, ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ბაზარი გაჯერებულია რძის ფხვნილისგან წარმოებული პროდუქტებით, რაც თავის მხრივ, განაპირობებს რძისა და რძის პროდუქტების დაბალ სარეალ-

იზაციო ფასებს. რესპონდენტების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ხარისხიანი ნედლი რძის წარმოების შემთხვევაში ფერმერისთვის ნატურალური პროდუქტების წარმოება არამომგებიანია.

აჭარაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების 51%-ს ყავს [11].თვისებრივი კვლევის შედეგებმა, ასევე,

**აჭარის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მათ შორის ფურისა და ფურკამეჩის, სულადობა [10]**



წყარო: სურსათის უვნებლობის სააგენტო

გვიჩვენა, რომ რეალურად რეგიონში გაცილებით მეტი საქონელია, თუმცა, რიგი მიზეზების გამო მოსახლეობა არ აღრიცხავს მათ მფლობელობაში არსებულ საქონელს. ძირითად მიზეზად დასახელდა სახელმწიფო ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის პროგრამა, რომ საქონლის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ოჯახს შეიძლება მოეხსნას აღნიშნული პროგრამით გათ-

ვალისწინებული ფულადი შემწეობა. უდავოა რომ აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში (განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებში), შინამეურნეობების უმეტესობა დამოკიდებულია მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავალზე.

აჭარის რეგიონში ყველაზე მაღალი სულადობის მაჩვენებლით გამოირჩევა ხულოს მუნიციპალ-

იტეტი, სადაც სულ რეგიონში ძროხების 37%-ია, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 21%-ია, შუახვევის მუნიციპალიტეტში 20%. ყველაზე ნაკლები სულადობა დაფიქსირდა ქედაში, ხელვაჩაურსა და ბათუმში, რაც ლოგიკურიცაა და ძირითად გამონვეულია საძოვრებისა და დარგის განვითარებისთვის საჭირო შესაბამისი პირობების ნაკლებობით.

აჭარის რეგიონში, სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, 21 196 შინამეურნეობას ყავს საქონელი, მათგან 11 შინამეურნეობაში 50-ზე მეტი სული ძროხაა. მუნიციპალიტეტების მიხედვით სულადობა შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 5 შინამეურნეობა (ყველაზე მრავალრიცხოვანი გვხვდება სოფელ საჩინოში - 154 სული ძროხა და ქ. ქობულეთში - 71 სული ძროხა);
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 4 შინამეურნეობა (აღსანიშნავია რომ სოფელ სკურდიდში არის 70 სულიანი ფერმერი);
3. ხულოს მუნიციპალიტეტი - 1 შინამეურნეობა (სოფელ ადაძეებში - 55 სული ძროხა);
4. ბათუმის მუნიციპალიტეტი - 1 შინამეურნეობა (ადლიის დასახლებაში - 51 სული ძროხა).

პირუტყვის წველადობის შესახებ ინფორმაცია მოპოვებული იქნა სხვადასხვა წყაროდან. შესაბამისად, რეალური მაჩვენებლების დასადგენად და მდგომარეობის შესაფასებლად თვისებრივმა კვლევამ ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საქონლის წველადობა, ჯიშების გარდა, დამოკიდებულია გარემო პირობებზე, კვებასა და უმეტეს შემთხვევაში სეზონურობაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა 2016 წელს აჭარის რეგიონში 1 189 ლიტრი იყო წელიწადში (საშუალოდ 325 დღეზე გადანაგარიშებით), რაც დაახლოებით 16%-ით ჩამოუვარდება საქართველოს საშუალო წველადობის მაჩვენებელს იმავე წელს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს აჭარაში დარგის განვითარებისთვის ჯიშობრივი და მოვლასთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესების საჭიროებას.

წლების მიხედვით ანალიზისას, 2016 წელს წინა წელთან შედარებით, აჭარის რეგიონში საშუალო წლიური წველადობა გაიზარდა, თუმცა, მნიშ-

ვნელოვანი სხვაობა ბოლო წლების განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

ჩალრმავებული ინტერვიუების რესპონდენტები ასახელებდნენ რომ გავრცელებული ჯიშების წველადობა სეზონზე (გაზაფხული, ზაფხული) საშუალოდ შეადგენს 8-10 ლიტრს დღეში, მაშინ როდესაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში წველადობა დღეში 3-5 ლიტრამდე მცირდება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აჭარის ფერმერები დაახლოებით იგივე მაჩვენებელს ასახელებდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა დღეში საშუალოდ 10-12 ლიტრი შეადგინა აქტიურ პერიოდში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის მიზნებისთვის და მწარმოებლურობის დასაანგარიშებლად, აჭარის რეგიონში არსებული ჯიშების საშუალო დღიური წველადობა 4 ლიტრით იქნა განსაზღვრული. თუ ჩავთვლით, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აჭარის რეგიონში სულ 75 559 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, რომელთაგან ფურების რაოდენობა შეადგენს 63 475-ს, ფურების რაოდენობიდან მენველად მიჩნეულ იქნა 44 433 სული, მაშინ აღნიშნული მონაცემებით გამოდის, რომ დღიური საშუალო წველადობა რეგიონში შეადგენს 177 730 ლიტრ რძეს (4 ლიტრი/დღე), ხოლო საშუალო წლიური წველადობა (1460 ლიტრი/წელიწადი) (12 თვეზე გადანაგარიშებით) იქნება 64,871 ტონა რძე.

აღნიშნულ მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით აჭარაში რძის წარმოების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რასაც განაპირობებს რეგიონში საქონლის საშუალო წველადობის დაბალი მაჩვენებელი საქართველოს და სხვა რეგიონებთან შედარებით. მიუხედავად აღნიშნულისა, თვისებრივი კვლევის რესპონდენტები უპირატესობა მიიჩნევდნენ რეგიონში წარმოებული რძის განსაკუთრებით მაღალი ხარისხს გემოვნურ თვისებებსა და ცხიმოვანობას სხვა რეგიონებში წარმოებულ რძესთან შედარებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით აჭარის რეგიონში 2017 წელს 8 რძის გადამამუშავებელი საწარმოა რეგისტრირებული, რომელთაგან 2 ნაყინის მწარმოებელია. თუმცა, როდესაც ამ ინფორმაციის გადამოწმებამ სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზებში, გვიჩვენა, რომ მოცემულ ეტაპზე რეგიონში მხოლოდ ოთხი აქტიური საწარმოა (იხ. სქემა 1).

აჭარის რეგიონში აქტიური სანარმოები [12]

სუბიექტის დასახელება	მუნიციპალიტეტი/ქალაქი	საქმიანობის დასახელება NACE 1
შპს ცეზარი	ხულოს მუნიციპალიტეტი	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება
შპს ნატურალ პროდუქცია	ხულოს მუნიციპალიტეტი	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება
შპს კახაბერი 777	ხულოს მუნიციპალიტეტი	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება
შპს სუფთა საქმე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება
იმ "დავით გოგიაშვილი"	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება

კვლევის პროცესში ინფორმაციის დაზუსტებისას აღმოჩნდა, რომ რძის შეკრებასა და გადამამუშავებას ახორციელებს მხოლოდ ორი სანარმო - „ცეზარი“ და „სუფთა საქმე“. სხვა სანარმოებს ან მუშაობა აქვთ შეწყვეტილი ან გაურკვეველი მიზეზებით არ ოპერირებენ ბაზარზე. ამავე ქრილში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია ვერ იქნება სანდო, რადგან რეალური და მოცემული მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს. გამოკითხვისას სანარმოებმა აღნიშნეს, რომ მაღალი წველადობის დროს მათ შეუძლიათ 12 ტონა ნედლი რძის გადამამუშავება ყოველდღიურად, დაახლოებით 14 ტონა ყველის გატანა ბაზარზე კვირაში ერთხელ, ხოლო მათი მომწოდებელ ფერმერთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 350-600-ს. საშუალოდ კი მათი სიმძლავრე კვირაში 9 ტონა პროდუქციას შეადგენს. თუმცა, ფერმერებისგან რძის ჩაბარების რაოდენობის მატების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ეს მოცულობა 15 ტონამდე გაზარდონ.

ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება ჯოგის ჯიშობრივი გაუმჯობესებით და პროდუქტიულობის ამაღლებით, ამ მხრივ რეგიონში მუშაობა 5 წელია დანერგულია და ხელოვნური განაყოფიერების გზით უკვე მიღებულია ჯერსის ჯიშის მე-2-მე-3 თაობაც. ეს ჯიში შერჩეულია ყველა ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური მონაცემებით და დადარებულია გავრცელებულ ადგილობრივ ჯიშებთან. ასევე, აუცილებელია რეგიონში შეიქმნას მძლავრი სანაშენე ფერმა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ფერმერებს მერძეული და მეხორცეული პირუტყვით მომარაგებაში.

ხორცისა და ხორცპროდუქტებზე მზარდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე საჭიროა რეგიონში შემოვიდეს მეხორცეული მიმართულების

ახალი ჯიშები. მაღალი სტანდარტების ადგილობრივი წარმოების საქონლის ხორცის უმთავრესი დადებითი მხარეა ის, რომ ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე (უმთავრესად აზერბაიჯანი) საკმაოდ მაღალი მოთხოვნილებაა ახალ საქონლის ხორცზე. რეგიონში უკვე ფუნქციონირებენ მეხორცეული ფერმისათვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებლები, მექანიზაციის სერვის ცენტრი და ვეტერინალური სერვისები, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ფერმას ექნება საკმაოდ დაბალი ფიქსირებული ხარჯები. ამ დროისათვის რეგიონში ფუნქციონირებს 4 სერტიფიცირებული სასაკლავო, რომლებიც დაინტერესებული არიან საქონლის ხორცის (ცოცხალი საქონლის) შესყიდვით ან შესაბამისი მომსახურებით (დაკვლის სერვისი). მაღალტექნოლოგიურ და ინტენსიური ტიპის მე-საქონლეობის (მეხორცეული) ფერმას შესაძლებლობა ექნება ადგილზევე შეიძინოს რეგიონში არსებული ადგილობრივი ჯიშების მოზრები ან თვითონ იყოლიოს მაღალპროდუქტიული სახორცე ჯიშების სანაშენე ბირთვი, საიდანაც მიღებულ ხბორებს დააყენებს შემდგომ სუქებაზე. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, აქ პირველ რიგში, აღსანიშნავია შემდეგი ფაქტორები:

1. გაუმართავი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მაღალმთაინი სოფლების და საზაფხულო საძოვრებზე მისასვლელი საავტომობილო გზები, რაც მთლიანობაში ართულებს ცოცხალი საქონლის სარეალიზაციო ბაზრებზე ტრანსპორტირებას. მეორე მხრივ კი ძნელად შესაძლებელს ხდის სახორცე პირუტყვის სუქებისათვის საჭირო ნედლეულის (თივა, კონც. საკვები, ვეტერინალური და მექანიზაციის სერვისები) მიწოდებას;
2. მაღალი კონკურენცია ხორცის იმპორტირების სახით;

3. სახორცე სქონლის წარმოების სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მცირე და საშუალო ფერმერების საკმაოდ მწირი ცოდნა სახორცე საქონლის მოვლა შენახვა, სუქების და რეალიზაციის თანამდროვე მეთოდებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია კვებასთან დაკავშირებული საკითხების, დაავადებათა პრევენციისა და დიაგნოზის დასმის დაბალი ცოდნა;

4. საკვებმწარმოებელი მანქანა დანადგარების დეფიციტი;

5. არესბული პირუტყვის ჯიშების დაბალი სახორცე პროდუქტიულობა;

6. საქონლის ხორცის გაუმართავი რეალიზაციის არხები და მისი შემდგომი გადამუშავების შესაძლებლობების ნაკლებობა;

აჭარის ტერიტორიაზე ალტერნატიული ენერჯის წყაროდ შესაძლებელია რეგიონში მეცხოველეობის განვითარების განვითარებასთან ერთად - ბიოგაზის გამოყენებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი პოტენციალია ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში. ენერჯის მიღების ეს მეთოდი უკვე დანერგულია აჭარის ზოგიერთ სოფელში. რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერჯოპოტენციალის გამოყენება ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე და გაზზე დანახარჯების შემცირებას.

ჩატარებული დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

აჭარაში მეცხოველეობის დარგის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფონზე რძის, რძის ნაწარმსა და ხორცზე მაღალი ფასები და პროდუქტებზე მაღალი მოთხოვნა. ფერმერები შემოსავლის ზრდის მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი გზაა პირუტყვის სულადობის გაზრდა, თუმცა, ეს უკანასკნელი შეზღუდულია მინისა და სამუშაო ძალის ნაკლებობით. მოცემულ ეტაპზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება შემოსავლების ზრდის ყველაზე რეალური საშუალებაა.

მეცხოველეობის დარგის განვითარების ტენდენციის შესწავლით გამოვლინდა, რომ დარგის

ძირითადი უპირატესობაა მცირე დანახარჯები არც თუ მცირე შემოსავლების ფონზე. მიუხედავად ამისა, ფერმერები იძულებული არიან მოახდინონ წარმოების ინტენსიფიკაცია, ან წავიდნენ ამ ბიზნესიდან, ვინაიდან რძის წარმოება და ბაზრისათვის მიწოდება უახლოვდება მასზე მოთხოვნას, მსოფლიო ფასები კლებადია, მთავრობა გამკაცრებულ მოთხოვნებს უყენებს რძისა და რძის პროდუქტების უსაფრთხოებას, ხოლო ფერმერები უახლოვდებიან თავიანთი შესაძლებლობების ზღვარს სამუშაო ძალის, მინისა და სხვა რესურსების მხრივ.

აღსანიშნავია, რომ რომ ზოგიერთი ფერმა შეძლებს საკუთარი წარმოების განვითარებას მნიშვნელოვანი ხარჯების გარეშე, თუ გააუმჯობესებს მართვას, კვებას, წველას და სხვა პროცესებს. ეს ძირითადად ის ფერმებია, რომელთა მფლობელობაშიც ძველი ტიპის სადგომებია, რომელთა მოდერნიზებაც შესაძლებელია. ფერმერებს, რომელთაც არ გააჩნიათ შესაფერისი შენობები, მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ წარმოების გაუმჯობესება და მეურნეობის ინტენსიურ ტიპზე გადასვლისას მათ თანამედროვე სადგომებში დიდი კაპიტალური ხარჯების განევა მოუწევთ.

რძისა და ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება რეგიონში პერსპექტიულია, თუმცა, რიგ გამოწვევებთან და პრობლემებთან არის დაკავშირებული, კერძოდ მიზანშეწონილია გარკვეული ღონისძიებების გატარება:

1. აუცილებელია რეგიონში სრულფასოვნად განხორციელდეს ჯიშგანახლების პროგრამა;
2. საჭიროა გაიხნას რძის შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოები;
3. აუცილებელია შესაბამისი განათლების მქონე პირების მომზადება (ვეტ-ექიმები, ფერმლები, ზოო-ინჟინრები);
4. აუცილებელია ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიქმნას სპეციალური გადამზადების კურსები;
5. მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ფინანსურ ინსტიტუტებსა და დონორ ორგანიზაციებთან.



ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Kharaishvili E.**, Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:10, No:5, 2016.
- [2] **Kharaishvili, E.**, The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018.
- [3] **Kharishvili E., Gechbaia B., Tsiklashvili N.**, Priorities of socio-economic development of Georgia and Ukraine: innovative approaches and perspectives /International collective monograph, Chapter 2/in STRATEGIC PRIORITIES FOR DEVELOPING UKRAINE AND GEORGIA: INNOVATION AND PARTNERSHIP. p. 90. BATUMI 2018.
- [4] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
- [5] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2018, გვ. 78.
- [6] იქვე, გვ. 79.
- [7] იქვე, გვ. 82
- [8] სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა იდენტიფიკაციის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
- [9] თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
- [10] აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016-2021 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- [11] აჭარა ციფრებში, აჭარის სტატისტიკის სამმართველო, ბათუმი 1986 გვ 50-51.
- [12] <https://www.worldhunger.org/>